სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტო

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

ტესტები საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისათვის ისტორიაში

საგამოცდო ტესტების საკითხები საქართველოს
მოქალაქეობის მოპოვებისათვის

1. დმანისში აღმოჩენილ პირველყოფილ ადამიანთა ნაშთებს უწოდებენ:

ა) „პირველ ქართლელებს“;

ბ) „პირველ ქართველებს“;

გ)„პირველ ევროპელებს“;

დ) „პირველ ადამიანებს“;

სწორი პასუხია: გ) „პირველ ევროპელებს“;

2. დმანისში აღმოჩენილ „პირველ ევროპელებს“ დაარქვეს:

ა) ზეზვა და მზია;

ბ) თამარი და დავითი;

გ) ბადრი და ნანა;

დ) ნინო და გიორგი;

სწორი პასუხია: ა) ზეზვა და მზია;

3. რომელი ქვეყნიდან მოვიდნენ არგონავტები კოლხეთში?

ა) ასურეთიდან;

ბ) ურარტუდან;

გ) შუმერიდან;

დ) საბერძნეთიდან;

სწორი პასუხია: დ) საბერძნეთიდან;

4. ფოთთან დაარსებულ ბერძნულ კოლონიას ერქვა:

ა) თბილისი;

ბ) ფაზისი;

გ) ვანი;

დ) მცხეთა;

სწორი პასუხია: ბ) ფაზისი;

5. აიეტი და მედეა იყვნენ:

ა) ბერძნები;

ბ) იბერიელები;

გ) კოლხები;

დ) ეგვიპტელები;

სწორი პასუხია: გ) კოლხები;

6. მითი „ოქროს საწმისის“ შესახებ დაკავშირებულია:

ა) სომხებთან;

ბ) სპარსელებთან;

გ) ეგვიპტელებთან;

დ) კოლხებთან;

სწორი პასუხია: დ) კოლხებთან;

7. არგონავტების მითის მიხედვით კოლხეთის მეფეს ერქვა:

ა) ტიგრანი;

ბ) იასონი;

გ) აიეტი;

დ) ჰერაკლე;

სწორი პასუხია: გ) აიეტი;

8. ძვ. წ-ის VI საუკუნეში ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ქალაქების დაარსება დაკავშირებულია:

ა) ეგვიპტელებთან;

ბ) ბერძნებთან;

გ) სპარსელებთან;

დ) რომაელებთან;

სწორი პასუხია: ბ) ბერძნებთან;

9. მეფე ფარნავაზს ბრძოლაში ეხმარებოდა:

ა) ეხნატონი;

ბ) ფილიპე II მაკედონელი;

გ) ქუჯი;

დ) აიეტი;

სწორი პასუხია: გ) ქუჯი;

10. რამდენ ადმინისტრაციულ ნაწილად დაყო სამეფო ფარნავაზმა?

ა) 9;

ბ) 6;

გ) 3;

დ) 12;

სწორი პასუხია ა) 9;

11. რომელ საუკუნეებში შეიქმნა ქართლის სამეფო?

ა) ძვ. წ-ის XX-XIX სს;

ბ) ძვ. წ-ის IV-III სს;

გ) ძვ. წ-ის X-IX სს.

დ) ძვ. წ-ის XVI-XV სს;

სწორი პასიუხია ბ) ძვ. წ-ის IV-III სს.

12. ფარნავაზმა ქართლის სამეფოს მთავარ ღმერთად გამოაცხადა:

ა) ზევსი;

ბ) გაცი;

გ) მარსი;

დ) არმაზი;

სწორი პასუხია დ) არმაზი;

13. მეფე ფარნავაზის დროს ქართლის სამეფოს დედაქალაქი იყო:

ა) ერევანი;

ბ) თბილისი;

გ) მცხეთა;

დ) ვანი;

სწორი პასუხია გ) მცხეთა;

14. ძვ. წ-ის I საუკუნეში, რომაელთა პირველი ლაშქრობისას, ქართლის მეფე იყო:

ა) არტაგი;

ბ) დავით აღმაშენებელი;

გ) ტიგრან დიდი;

დ) ბაგრატ მესამე;

სწორი პასუხია ა) არტაგი;

15. ძვ. წ-ის I საუკუნეში ჩამოთვლილთაგან საქართველოში ილაშქრა?

ა) დარიოს I-მა;

ბ) იულიუს კეისარმა;

გ) რამზეს II-მ;

დ) პომპეუსმა;

სწორი პასუხია: დ) პომპეუსმა;

16. II საუკუნეში ჩამოთვლილთაგან ვის დაუპირისპირდა ქართლის მეფე ფარსმან II ქველი?

ა) სპარსეთის მეფე ქსერქსეს;

ბ) პონტოს მეფე მითრიდატეს;

გ) სომხეთის მეფე ტიგრანს;

დ) რომის იმპერატორ ადრიანეს;

სწორი პასუხია: დ) რომის იმპერატორ ადრიანეს;

17. ქართლის რომელი მეფის ვიზიტი შედგა რომში II საუკუნეში?

ა) ფარნავაზის;

ბ) ფარსმან II ქველის;

გ) მირიანის;

დ) ვახტანგ გორგასლის;

სწორი პასუხია: ბ) ფარსმან II ქველის;

18. რომელ სახელმწიფოში იყო მიწვეული ფარსმან II ქველი ოჯახთან ერთად?

ა) ურარტუში;

ბ) რომის იმპერიაში;

გ) არაბთა სახალიფოში;

დ) სასანურ ირანში;

სწორი პასუხია: ბ) რომის იმპერიაში;

19. საქართველოში ქრისტიანობის ქადაგება დაიწყეს:

ა) IX საუკუნიდან;

ბ) IV საუკუნიდან;

გ) VII საუკუნიდან;

დ) I საუკუნიდან;

სწორი პასუხია: დ) I საუკუნიდან;

20. ქართლის რომელ მეფეს დაუდგეს ქანდაკება რომში?

ა) ფარსმან II-ს;

ბ) ფარნავაზს;

გ) მირიანს;

დ) ვახტანგ გორგასალს;

სწორი პასუხია: ა) ფარსმან II-ს;

21. 325 წელს ბიჭვინთის ეპისკოპოსი ესწრებოდა:

ა) ეკუმენისტურ კრებას;

ბ) თბილისში გამართულ სამეფო ნადიმს;

გ) მსოფლიოს I საეკლესიო კრებას;

დ) რუსულ საეკლესიო კრებას;

სწორი პასუხია: გ) მსოფლიოს I საეკლესიო კრებას;

22. რომელ საუკუნეში გამოცხადდა საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად?

ა) I საუკუნეში;

ბ) II საუკუნეში;

გ) IV საუკუნეში;

დ) III საუკუნეში;

სწორი პასუხია: გ) IV საუკუნეში;

23. რა მოხდა საქართველოში IV საუკუნეში?

ა) ქვეყანა დაიპყრეს არაბებმა;

ბ) ქრისტიანობა გახდა სახელმწიფო რელიგია;

გ) მოხდა ქვეყნის გაერთიანება;

დ) ქვეყანა დაიპყრეს რომაელებმა;

სწორი პასუხია: ბ) ქრისტიანობა გახდა სახელმწიფო რელიგია;

24. ქართლის სამეფოს გაქრისტიანება უკავშირდება:

ა) იოანე ოქროპირს;

ბ) სიმონ კანანელს;

გ) ანდრია პირველწოდებულს;

დ) წმ. ნინოს;

სწორი პასუხია: დ) წმ. ნინოს;

25. ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოხდა:

ა) მეფე გურგენის დროს;

ბ) მეფე ვახტანგ გორგასლის დროს;

გ) მეფე მირიანის დროს;

დ) მეფე გიორგის დროს;

სწორი პასუხია: გ) მეფე მირიანის დროს;

26. რა უკავშირდება ქართლის მეფე მირიანის სახელს?

ა) ქვეყნის დედაქალაქად მცხეთის გამოცხადება;

ბ) ოქროს ფულის მოჭრა;

გ) ახალი ქალაქების დაარსება და ეკონომიკური რეფორმები;

დ) ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად;

სწორი პასუხია: დ) ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად;

27. სადაური იყო წარმოშობით წმ. ნინო?

ა) ჩეხი;

ბ) სომეხი;

გ) კაპადოკიელი;

დ) ინდოელი;

სწორი პასუხია: გ) კაპადოკიელი;

28. ალან-ოსთა და სხვა მომთაბარე ტომები საქართველოს ესაზღვრებოდნენ:

ა) სამხრეთიდან;

ბ) ჩრდილოეთიდან;

გ) აღმოსავლეთიდან;

დ) დასავლეთიდან;

სწორი პასუხია: ბ) ჩრდილოეთიდან;

29. პირველი ქართული ლიტერატურული ნაწარმოები „შუშანიკის წამება“ შეიქმნა:

ა) I საუკუნეში;

ბ) XVIII საუკუნეში;

გ) XII საუკუნეში;

დ) V საუკუნეში;

სწორი პასუხია: დ) V საუკუნეში;

30. ქართული ლიტერატურული ნაწარმოებებიდან რომელია ყველაზე ძველი?

ა) „შუშანიკის წამება“;

ბ) „დავითიანი“;

გ) „ვეფხისტყაოსანი“;

დ) „სიბრძნე-სიცრუისა“;

სწორი პასუხია: ა) „შუშანიკის წამება“

31. რომელ საუკუნეში მეფობდა ვახტანგ გორგასალი?

ა) I საუკუნეში;

ბ) V საუკუნეში;

გ) XVIII საუკუნეში;

დ) XII საუკუნეში;

სწორი პასუხია: ბ) V საუკუნეში;

32. V საუკუნეში მეფობდა:

ა) ფარნავაზი;

ბ) ლაშა-გიორგი;

გ) ბაგრატ III;

დ) ვახტანგ გორგასალი;

სწორი პასუხია: დ) ვახტანგ გორგასალი;

33. ვახტანგ გორგასალი დაიღუპა:

ა) ოსმალებთან ბრძოლაში;

ბ) არაბებთან ბრძოლაში;

გ) სპარსელებთან ბრძოლაში;

დ) ასურელებთან ბრძოლაში;

სწორი პასუხია: გ) სპარსელებთან ბრძოლაში;

34. რომელ საუკუნეში გახდა თბილისი ქართლის სამეფოს დედაქალაქი?

ა) I საუკუნეში;

ბ) III საუკუნეში;

გ) VII საუკუნეში;

დ) V საუკუნეში;

სწორი პასუხია: დ) V საუკუნეში;

35. „გორგასალი“ ნიშნავს:

ა) „ლომისთავას“;

ბ) „მგლისთავას“;

გ) „დათვისთავას“;

დ) „ვეფხვისთავას“;

სწორი პასუხია: ბ) „მგლისთავას“

36. ქართლის სამეფოში რომელი რელიგიის გავრცელების წინააღმდეგ იბრძოდა მეფე ვახტანგ გორგასალი?

ა) არმაზის კულტის;

ბ) ისლამის;

გ) იუდაიზმის;

დ) მაზდეანობის;

სწორი პასუხია: დ) მაზდეანობის;

37. VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოზე ბატონობისთვის ერთმანეთს

უპირისპირდებოდნენ:

ა) რუსეთი და თურქეთი;

ბ) რომი და კართაგენი;

გ) სპარსეთი და ბიზანტია;

დ) არაბები და მონღოლები;

სწორი პასუხია: გ) სპარსეთი და ბიზანტია;

38. არაბებმა პირველად საქართველოში ილაშქრეს:

ა) I საუკუნეში;

ბ) III საუკუნეში;

გ) VII საუკუნეში;

დ) XII საუკუნეში;

სწორი პასუხია: გ) VII საუკუნეში;

39. საქართველოს რომელ ქალაქში იყო არაბი ამირას რეზიდენცია?

ა) მცხეთაში;

ბ) წალენჯიხაში;

გ) ბათუმში;

დ) თბილისში;

სწორი პასუხია: დ) თბილისში;

40. სადაური იყო მურვან ყრუ?

ა) ირანელი;

ბ) ბიზანტიელი;

გ) არაბი;

დ) მონღოლი;

სწორი პასუხია: გ) არაბი;

41. რომელ საუკუნეში ილაშქრა საქართველოში მურვან-ყრუმ?

ა) II საუკუნეში;

ბ) VIII საუკუნეში;

გ) IV საუკუნეში;

დ) XII საუკუნეში;

სწორი პასუხია: ბ) VIII საუკუნეში;

42. VII საუკუნეში რა შემთხვევაში თავისუფლდებოდა ქართველი არაბული გადასახადისგან?

ა) თუ მიიღებდა ისლამს;

ბ) თუ ათი წლის გადასახადს ერთიანად გადაიხდიდა;

გ) თუ ხუთი წლის გადასახადს ერთიანად გადაიხდიდა;

დ) თუ პირადობის მოწმობის ეროვნების გრაფაში მიუთითებდა „არაბს“.

სწორი პასუხია: ა) თუ მიიღებდა ისლამს;

43. სადაური იყო ქრისტიანობის აღიარებისთვის სიკვდილით დასჯილი აბო?

ა) ირანელი;

ბ) არაბი;

გ) რომაელი;

დ) თურქი;

სწორი პასუხია: ბ) არაბი;

44. ვის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში VIII-IX საუკუნეების სამონასტრო აღმშენებლობა?

ა) გრიგოლ ხანძთელთან;

ბ) წმ. ნინოსთან;

გ) მეფე მირიანთან;

დ) სულხან-საბა ორბელიანთან;

სწორი პასუხია: ა) გრიგოლ ხანძთელთან;

45. კლდეკარის საერისთავო ეკუთვნოდათ:

ა) ბაგრატიონებს;

ბ) ბაღვაშებს;

გ) დადიანებს;

დ) მხარგრძელებს;

სწორი პასუხია: ბ) ბაღვაშებს;

46. საქართველოს გაერთიანებას დავით III კურაპალატთან ერთად სათავეში ედგა:

ა) გიორგი სააკაძე;

ბ) გრიგოლ ხანძთელი;

გ) იოანე მარუშისძე;

დ) სულხან-საბა ორბელიანი;

სწორი პასუხია: გ) იოანე მარუშისძე;

47. ერთიანი საქართველოს პირველი მეფე იყო:

ა) დავით III;

ბ) ბაგრატ III;

გ) ვახტანგ გორგასალი;

დ) გიორგი V;

სწორი პასუხია: ბ) ბაგრატ III;

48. რომელ საუკუნეში მოხდა საქართველოს გაერთიანება?

ა) II საუკუნეში;

ბ) VIII საუკუნეში;

დ) XI საუკუნეში;

გ) XVIII საუკუნეში;

სწორი პასუხია: დ) XI საუკუნეში;

49. რა მოხდა საქართველოში XI საუკუნეში?

ა) ეკლესიის მეთაური გახდა მეფე;

ბ) მოხდა ქვეყნის გაერთიანება;

გ) დაიწერა ვეფხისტყაოსანი;

დ) მოხდა არაბების განდევნა;

სწორი პასუხია: ბ) მოხდა ქვეყნის გაერთიანება;

50. რომელი დინასტია ჩაუდგა სათავეში საქართველოს სამეფოს XI საუკუნეში?

ა) ლანკასტერები;

ბ) ვალუები;

გ) ბაგრატიონები;

დ) ფარნავაზიანები;

სწორი პასუხია: გ) ბაგრატიონები;

51. საქართველოს მეფე გიორგი I მეფობდა:

ა) XI საუკუნეში;

ბ) არ არსებობდა ასეთი მეფე;

გ) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროს;

დ) XVIII საუკუნეში;

სწორი პასუხია: ა) XI საუკუნეში;

52. საქართველოს მეფე ბაგრატ IV მეფობდა:

ა) I საუკუნეში;

ბ) III საუკუნეში;

გ) XVIII საუკუნეში;

დ) XI საუკუნეში;

სწორი პასუხია: დ) XI საუკუნეში;

53. რომელ საუკუნეში შემოიჭრნენ პირველად საქართველოში თურქ-სელჩუკები?

ა) XX საუკუნეში;

ბ) XI საუკუნეში;

გ) XXI საუკუნეში;

დ) V საუკუნეში;

სწორი პასუხია: ბ) XI საუკუნეში;

54. რა მოვლენას ჰქონდა ადგილი XI საუკუნის საქართველოში?

ა) „დიდ თურქობას“;

ბ) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას;

გ) ლარის გაუფასურებას;

დ) რუსულ ოკუპაციას;

სწორი პასუხია: ა) „დიდ თურქობას“;

55. საქართველოს რომელმა მეფემ იკისრა სელჩუკებთან ხარკი?

ა) ფარსმან II-მ;

ბ) გიორგი II-მ;

გ) აშოტ I-მა;

დ) დავით აღმაშენებელმა;

სწორი პასუხია: ბ) გიორგი II-მ;

56. ვისი მამა იყო საქართველოს მეფე გიორგი II?

ა) ერეკლე მეორის;

ბ) გუბაზ ლაზთა მეფის;

გ) უშვილო იყო;

დ) დავით აღმაშენებლის;

სწორი პასუხია: დ) დავით აღმაშენებლის;

57. რომელ საუკუნეში აიგო სვეტიცხოველის ტაძარი?

ა) XI საუკუნეში;

ბ) V საუკუნეში;

გ) I საუკუნეში;

დ) XVIII საუკუნეში;

სწორი პასუხია: ა) XI საუკუნეში;

58. რომელ წელს გამეფდა დავით აღმაშენებელი?

ა) 889 წელს;

ბ) 1289 წელს;

გ) 789 წელს;

დ) 1089 წელს;

სწორი პასუხია: დ) 1089 წელს;

59. რომელ საერისთავოს ფლობდა ლიპარიტ ბაღვაში?

ა) იმერეთის;

ბ) სამცხის;

გ) კლდეკარის;

დ) სამეგრელოს;

სწორი პასუხია: გ) კლდეკარის;

60. რა მოხდა რუის-ურბნისში:

ა) მეფე დავითმა დაამარცხა თურქები;

ბ) გარდაიცვალა დავით IV;

გ) მეფე დავითმა შეიპყრო მოწინააღმდეგე ფეოდალები;

დ) ჩატარდა საეკლესიო კრება;

სწორი პასუხია: დ) ჩატარდა საეკლესიო კრება;

61. სადაა დაკრძალული დავით აღმაშენებელი?

ა) გელათში;

ბ) ალავერდში;

გ) სვეტიცხოველში;

დ) ბედიაში;

სწორი პასუხია: ა) გელათში;

62. რომელ წელს გარდაიცვალა დავით აღმაშენებელი?

ა) 825 წელს;

ბ) 1225 წელს;

გ) 925 წელს;

დ) 1125 წელს;

სწორი პასუხია: დ) 1125 წელს;

63. დავით აღმაშენებელმა რომელი ქალაქი გამოაცხადა საქართველოს სამეფოს დედაქალაქად?

ა) ტრაპიზონი;

ბ) მცხეთა;

გ) თბილისი;

დ) ფაზისი;

სწორი პასუხია: გ) თბილისი;

64. რომელი ბრძოლა მოიგო დავით აღმაშენებელმა?

ა) შამქორის;

ბ) დიდგორის;

გ) ბასიანის;

დ) გარნისის;

სწორი პასუხია: ბ) დიდგორის;

65. რომელ წელს მოხდა დიდგორის ბრძოლა?

ა) 1003 წელს;

ბ) 1072 წელს;

გ) 1200 წელს;

დ) 1121 წელს;

სწორი პასუხია: დ) 1121 წელს;

66. დავით აღმაშენებელმა ჩამოასახლა:

ა) მონღოლები;

ბ) რუსები;

გ) ყივჩაღები;

დ) ვიკინგები;

სწორი პასუხია: გ) ყივჩაღები;

67. რა მოხდა საქართველოში 1121 წელს?

ა) საქართველოს სამეფო კარი ჩაება IV ჯვაროსნული ლაშრობის ორგანიზების საქმეში;

ბ) დავით აღმაშენებელი ოფიციალურად გახდა ქრისტეს საფლავის მცველი იერუსალიმში;

გ) დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა დაამარცხა თურქების კოალიციური ჯარი;

დ) შეიქმნა საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის კონფედერაცია;

სწორი პასუხია: გ) დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა დაამარცხა თურქების

კოალიციური ჯარი;

68. სადაზვერვო სამსახური „მსტოვრები“ შექმნა:

ა) დავით აღმაშენებელმა;

ბ) ვახტანგ გორგასალმა;

გ) თამარმა;

დ) გიორგი ბრწყინვალემ;

სწორი პასუხია: ა) დავით აღმაშენებელმა;

69. ვინ შემოიღო პირველად მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობა?

ა) ერეკლე მეორემ;

ბ) გიორგი ბრწყინვალემ;

გ) თამარ მეფემ;

დ) დავით აღმაშენებელმა;

სწორი პასუხია: დ) დავით აღმაშენებელმა;

70. რომელმა მეფემ ააშენა გელათის მონასტერი და აკადემია?

ა) ბაგრატ მესამემ;

ბ) ვახტანგ გორგასალმა;

გ) დავით აღმაშენებელმა;

დ) დემეტრე თავდადებულმა;

სწორი პასუხია: გ) დავით აღმაშენებელმა;

71. ვინ იყო საქართველოს მეფე გიორგი მესამის მემკვიდრე?

ა) თამარ მეფე;

ბ) ვარსქენ პიტიახში;

გ) ერეკლე მეორე;

დ) ფარსმან ქველი;

სწორი პასუხია: ა) თამარ მეფე;

72. ვინ იყო პირველი ქალი მეფე საქართველოში?

ა) რუსუდანი;

ბ) ქეთევან წამებული;

გ) შუშანიკი;

დ) თამარ მეფე;

სწორი პასუხია: დ) თამარ მეფე;

73. რა უნდა რქმეოდა ყუთლუ-არსლანის დასის წევრთა მიერ მოწვეულ საკანონმდებლო ორგანოს?

ა) „პარლამენტი“;

ბ) „კარავი“;

გ) „სენატი“;

დ) „კონგრესი“;

სწორი პასუხია: ბ) „კარავი“;

74. ვისი თანამედროვე იყო შოთა რუსთაველი?

ა) თამარ მეფის;

ბ) ქეთევან წამებულის;

გ) წმინდა ნინოს;

დ) არცერთის;

სწორი პასუხია: ა) თამარ მეფის;

75. ვინ იყო გიორგი რუსი?

ა) თამარ მეფის სარდალი;

ბ) რუსეთის ელჩი თამარ მეფის კარზე;

გ) თამარ მეფის პირველი ქმარი;

დ) თამარ მეფის გამზრდელი;

სწორი პასუხია: გ) თამარ მეფის პირველი ქმარი;

76. მეფე თამარის დროს ქართულმა ჯარმა ილაშქრა:

ა) ჩინეთში;

ბ) ინდოეთში;

გ) რუსეთში;

დ) ირანში;

სწორი პასუხია: დ) ირანში;

77. რომელ საუკუნეში დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“:

ა) V საუკუნეში;

ბ) XII საუკუნეში;

გ) IX საუკუნეში;

დ) XVII საუკუნეში;

სწორი პასუხია: ბ) XII საუკუნეში;

78. ვინ იყო შოთა რუსთაველი?

ა) ქართველი წმინდანი;

ბ) ქართველი სარდალი;

გ) ქართველი მოგზაური;

დ) ქართველი პოეტი;

სწორი პასუხია: დ) ქართველი პოეტი;

79. რა მოხდა XII საუკუნეში საქართველოში?

ა) ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად;

ბ) დამთავრდა მონღოლთა ბატონობა;

გ) დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“;

დ) საქართველოს ერთიანი სამეფო დაიშალა რამდენიმე ნაწილად;

სწორი პასუხია: გ) დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“;

80. რომელი მეფის დროს მოხდა შამქორის ბრძოლა?

ა) დავით კურაპალატის;

ბ) თამარ მეფის;

გ) ერეკლე მეორის;

დ) ვახტანგ გორგასლის;

სწორი პასუხია: ბ) თამარ მეფის;

81. თამარის ლაშქარმა რუმის სულთანი დაამარცხა:

ა) ბასიანთან;

ბ)კრწანისთან;

გ) დიდგორთან;

დ) ფარცხისთან;

სწორი პასუხია: ა) ბასიანთან;

82. რომელ საუკუნეში მოხდა ბასიანის ბრძოლა?

ა) IV საუკუნეში;

ბ) XIII საუკუნეში;

გ) VIII საუკუნეში;

დ) XV საუკუნეში;

სწორი პასუხია: ბ) XIII საუკუნეში;

83. ვის სახელს უკავშირდება „ასიათასი მოწამის“ სიკვდილით დასჯა მეტეხის ხიდთან?

ა) იულიუს კეისრის;

ბ) პეტრე პირველის;

გ)ჯალალ ედ-დინის;

დ) ჩინგიზ ხანის;

სწორი პასუხია: გ) ჯალალ ედ-დინის;

84. თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა:

ა) რუსუდანი;

ბ) ლაშა-გიორგი;

გ) დემეტრე II;

დ) გიორგი V;

სწორი პასუხია: ბ) ლაშა-გიორგი;

85. პირველად რომელ საუკუნეში გამოჩნდა მონღოლთა ჯარი საქართველოში?

ა) XIII საუკუნეში;

ბ) V საუკუნეში;

გ) IX საუკუნეში;

დ) XVIII საუკუნეში;

სწორი პასუხია: ა) XIII საუკუნეში;

86. საქართველოში მონღოლთა პირველი ლაშქრობისას ქვეყნის მეფე იყო:

ა) თამარი;

ბ) გიორგი VIII;

გ) ვახტანგ VI;

დ) ლაშა-გიორგი;

სწორი პასუხია: დ) ლაშა-გიორგი;

87. რომელ საუკუნეში მეფობდა საქართველოში ლაშა-გიორგი?

ა) VII საუკუნეში;

ბ) IX საუკუნეში;

გ) XIII საუკუნეში;

დ) XI საუკუნეში;

სწორი პასუხია: გ) XIII საუკუნეში;

88. რას ნიშნავდა მონღოლურად დავით ულუ და დავით ნარინი?

ა) დავით ბედნიერი და დავით უბედური;

ბ)დავით უფროსი და დავით უმცროსი;

გ) დავით იღბლიანი და დავით უიღბლო;

დ) დავით კანონიერი და დავით უკანონო;

სწორი პასუხია: ბ) დავით უფროსი და დავით უმცროსი;

89. ვინ დაიპყრო საქართველო XIII საუკუნეში?

ა) მონღოლებმა;

ბ) რომის იმპერიამ;

გ) ბიზანტიამ;

დ) რუსეთმა;

სწორი პასუხია: ა) მონღოლებმა;

90. ვისი შვილი იყო მეფე რუსუდანი?

ა) დავით აღმაშენებლის;

ბ) გიორგი ბრწყინვალის;

გ) ბაგრატ მესამის;

დ) თამარ მეფის;

სწორი პასუხია: დ) თამარ მეფის;

91. თამარის გარდა კიდევ რომელი მეფე ქალი მართავდა საქართველოს?

ა) რუსუდანი;

ბ) შუშანიკი;

გ) ნანა;

დ) მარიამი;

სწორი პასუხია: ა) რუსუდანი;

92. რა უწოდა ისტორიოგრაფიამ საქართველოში დემეტრე მეორეს?

ა) ავ-დემეტრე;

ბ) თავდადებული;

გ) ქველი;

დ) აღმაშენებელი;

სწორი პასუხია: ბ) თავდადებული;

93. საქართველოს მეფე დემეტრე II სიკვდილით დასაჯეს:

ა) ბიზანტიელებმა;

ბ) თურქ-სელჩუკებმა;

გ) მონღოლებმა;

დ) ვიკინგებმა;

სწორი პასუხია: გ) მონღოლებმა;

94. საქართველოს რომელი მეფე დასაჯეს სიკვდილით მონღოლებმა?

ა) დემეტრე II;

ბ) დავით V;

გ) გიორგი I;

დ) დავით IX;

სწორი პასუხია: ა) დემეტრე II;

95. XIV საუკუნეში საქართველოში მეფობდა:

ა) დავით III;

ბ) გიორგი V ბრწყინვალე;

გ) დავით აღმაშენებელი;

დ) ვახტანგ VI;

სწორი პასუხია: ბ) გიორგი V ბრწყინვალე;

96. რომელ საუკუნეში მეფობდა საქართველოში გიორგი V ბრწყინვალე?

ა) VI საუკუნეში;

ბ) IX საუკუნეში;

გ) XIV საუკუნეში;

დ) XI საუკუნეში;

სწორი პასუხია: გ) XIV საუკუნეში;

97. რომელმა მეფემ განდევნა მონღოლები საქართველოდან საბოლოოდ?

ა) დავით აღმაშენებელმა;

ბ)გიორგი V ბრწყინვალემ;

გ) თამარმა;

დ) ალექსანდრე I-მა;

სწორი პასუხია: ბ) გიორგი V ბრწყინვალემ;

98. ჩამოთვლილთაგან რომელმა მათგანმა ილაშქრა საქართველოში?

ა) თემურ-ლენგმა;

ბ) ქსერქსემ;

გ) იუსტინიანე I-მა;

დ) ატილამ;

სწორი პასუხია: ა) თემურ-ლენგმა;

99. რამდენჯერ ილაშქრა თემურ-ლენგმა საქართველოში?

ა) 2-ჯერ;

ბ) არ ულაშქრია;

გ) 15-ჯერ;

დ) 8-ჯერ;

სწორი პასუხია: დ) 8-ჯერ;

100. რა იყო თემურ ლენგის საქართველოში ლაშქრობების შედეგი?

ა) საქართველომ მიიღო ისლამი სახელმწიფო რელიგიად;

ბ) ქვეყანა აოხრდა;

გ) მხარეებმა გააფორმეს მოკავშირეობის ხელშეკრულება;

დ) თემურ ლენგი სასტიკად დამარცხდა;

სწორი პასუხია: ბ) ქვეყანა აოხრდა;

101. რას ნიშნავს „ლენგი“?

ა) კოჭლს;

ბ) მათხოვარს;

გ) კუზიანს;

დ) ცალთვალას;

სწორი პასუხია: ა) კოჭლს;

102. რომელ საუკუნეში დაიშალა საქართველოს სამეფო რამდენიმე ნაწილად?

ა) XV საუკუნეში;

ბ) XII საუკუნეში;

გ) XI საუკუნეში;

დ) XVIII საუკუნეში;

სწორი პასუხია: ა) XV საუკუნეში;

103. ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე იყო:

ა) ვახტანგ გორგასალი;

ბ) დავით აღმაშენებელი;

გ) გიორგი VIII;

დ) თამარი;

სწორი პასუხია: გ) გიორგი VIII;

104. რა მოხდა XV საუკუნეში საქართველოში?

ა) ქვეყნის ერთ ნაწილში კათოლიკობა გახდა სახელმწიფო რელიგია;

ბ) საქართველოს სამეფო დაიშალა რამდენიმე ნაწილად;

გ) საქართველო დაიპყრო რუსეთმა;

დ) საქართველო ჩაერთო ჯვაროსნულ ლაშქრობაში;

სწორი პასუხია: ბ) საქართველოს სამეფო დაიშალა რამდენიმე ნაწილად;

105. 1412-1442 წლების საქართველოში მეფობდა:

ა) ვახტანგ გორგასალი;

ბ) ალექსანდრე I;

გ) ერეკლე მეორე;

დ) დავით აღმაშენებელი;

სწორი პასუხია: ბ) ალექსანდრე I;

106. რამ გამოიწვია ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა XV საუკუნეში?

ა) დინასტიურმა ქორწინებამ;

ბ) ბოლშევიკთა აჯანყებამ;

გ) საქართველო არ დაშლილა;

დ) მეფის ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებამ;

სწორი პასუხია: დ) მეფის ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებამ;

107. ვინ იყვნენ ერთმანეთისთვის ქართლის მეფეები ლუარსაბ I და სიმონ I?

ა) მამა-შვილი;

ბ) ძმები;

გ) ბიძაშვილები;

დ) არ ყოფილან ნათესავები;

სწორი პასუხია: ა) მამა-შვილი;

108. 1555 წელს დადებული ამასიის ზავით საქართველო გაინაწილეს:

ა) სპარსეთმა და ოსმალეთმა;

ბ) ოსმალეთმა და საფრანგეთმა;

გ) სპარსეთმა და მონღოლეთმა;

დ) ბიზანტიამ და სპარსეთმა;

სწორი პასუხია: ა) სპარსეთმა და ოსმალეთმა;

109. ქართველების ფერეიდანში გადასახლება დაკავშირებულია:

ა) შაბურ I-თან;

ბ) შაჰ-აბასთან;

გ) დარიოს III-თან;

დ) აღა-მაჰმად ხანთან;

სწორი პასუხია: ბ) შაჰ-აბასთან;

110. ჩამოთვლილთაგან რომელი მათგანი დასაჯა სიკვდილით შაჰ-აბასმა?

ა) გიორგი სააკაძე;

ბ) ერეკლე II;

გ) ქეთევან დედოფალი;

დ) სულხან-საბა ორბელიანი;

სწორი პასუხია: გ) ქეთევან დედოფალი;

111. გიორგი სააკაძე იბრძოდა:

ა) მონღოლების წინააღმდეგ;

ბ) რუსეთის წინააღმდეგ;

გ) კათოლიკეების წინააღმდეგ;

დ) სპარსეთის წინააღმდეგ;

სწორი პასუხია: დ) სპარსეთის წინააღმდეგ;

112. რომელ საუკუნეში ილაშქრა შაჰ-აბასმა საქართველოში?

ა) XVII საუკუნეში;

ბ) XI საუკუნეში;

გ) XIV საუკუნეში;

დ) VIII საუკუნეში;

სწორი პასუხია: ა) XVII საუკუნეში;

113. რომელ საუკუნეში მოხდა მარაბდისა და მარტყოფის ბრძოლები:

ა) VII საუკუნეში;

ბ) XVII საუკუნეში;

გ) XIII საუკუნეში;

დ) X საუკუნეში;

სწორი პასუხია: ბ) XVII საუკუნეში;

114. მარაბდისა და მარტყოფის ბრძოლებში ქართველები იბრძოდნენ:

ა) სპარსელთა წინააღმდეგ;

ბ) არაბთა წინააღმდეგ;

გ) მონღოლთა წინააღმდეგ;

დ) რუსთა წინააღმდეგ;

სწორი პასუხია: ა) სპარსელთა წინააღმდეგ;

115. XVIII საუკუნეში მეფობდა:

ა) ვახტანგ გორგასალი;

ბ) დავით გურამიშვილი;

გ) გიორგი ბრწყინვალე;

დ) ვახტანგ VI;

სწორი პასუხია: დ) ვახტანგ VI;

116. ვახუშტი ბატონიშვილი იყო:

ა) ექიმი;

ბ) არქიტექტორი;

გ) გეოგრაფი;

დ) იურისტი;

სწორი პასუხია: გ) გეოგრაფი;

117. „სიბრძნე სიცრუისა“ დაწერა?

ა) სულხან-საბა ორბელიანმა;

ბ) შოთა რუსთაველმა;

გ) გიორგი სააკაძემ;

დ) ერეკლე მეორემ;

სწორი პასუხია: ა) სულხან-საბა ორბელიანმა;

118. საქართველოში პირველად სტამბის გახსნა უკავშირდება:

ა) გიორგი სააკაძეს;

ბ) ერეკლე II-ს;

გ) ვახტანგ VI-ს;

დ) ილია ჭავჭავაძეს;

სწორი პასუხია: გ) ვახტანგ VI-ს;

119. სად გაგზავნა ვახტანგ VI-მ დიპლომატიური მისიით სულხან-საბა ორბელიანი?

ა) საფრანგეთში;

ბ) მონღოლეთში;

გ) აშშ-ში;

დ) ალჟირში;

სწორი პასუხია: ა) საფრანგეთში;

120. ერეკლე II მეფობდა:

ა) IX საუკუნეში;

ბ) XIII საუკუნეში;

გ) XVIII საუკუნეში;

დ) V საუკუნეში;

სწორი პასუხია: გ) XVIII საუკუნეში;

121. 1744 წელს, სპარსელთა საუკუნოვანი ბატონობის შემდეგ, პირველად კახეთის რომელი მეფე ეკურთხა ქრისტიანული წესით მეფედ?

ა) დემეტრე I;

ბ) დავით ნარინი;

გ) ერეკლე II;

დ) ბაგრატ V;

სწორი პასუხია: გ) ერეკლე II;

122. კრწანისის ბრძოლა გაიმართა:

ა) X საუკუნეში;

ბ) XVIII საუკუნეში;

გ) XVI საუკუნეში;

დ) III საუკუნეში;

სწორი პასუხია: ბ) XVIII საუკუნეში;

123. ვისთან დამარცხდა მეფე ერეკლე მეორე კრწანისის ბრძოლაში?

ა) რუსებთან;

ბ) ფრანგებთან;

გ) მონღოლებთან;

დ) სპარსელებთან;

სწორი პასუხია: დ) სპარსელებთან;

124. რომელ წელს გაფორმდა „გეორგიევსკის ტრაქტატი“?

ა) 1783 წელს.

ბ) 1578 წელს;

გ) 1659 წელს;

დ)1492 წელს;

სწორი პასუხია: ა) 1783 წელს

125. რომელი ქვეყნის მფარველობაში შევიდა ქართლ-კახეთის სამეფო მეფე ერეკლეს მიერ „გეორგიევსკის ტრაქტატის“ ხელმოწერით?

ა) საფრანგეთის;

ბ) ინგლისის;

გ) რუსეთის;

დ) აშშ-ს;

სწორი პასუხია: გ) რუსეთის;

126. რა ვალდებულებას იღებდა რუსეთის იმპერია ქართლ-კახეთის სამეფოს წინაშე „გეორგიევსკის ტრაქტატის“ მიხედვით?

ა) ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის შემადგენლობაში შეყვანის;

ბ) გარეშე მტრისგან დაცვის;

გ) აფხაზეთის საქართველოსთვის დაბრუნების;

დ) გრანტის გამოყოფის;

სწორი პასუხია: ბ) გარეშე მტრისგან დაცვის;

127. სპარსეთის რომელ მმართველთან ბრძოლაში დამარცხდა მეფე ერეკლე II?

ა) თემურ ლენგი;

ბ) შაჰ აბასი;

გ) ნადირ შაჰი;

დ)აღა-მაჰმად ხანი;

სწორი პასუხია: დ) აღა მაჰმად ხანი;

128. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე იყო:

ა) გიორგი XII;

ბ) თამარი;

გ) ერეკლე II;

დ) გიორგი სააკაძე;

სწორი პასუხია: ა) გიორგი XII;

129. რომელმა ქვეყანამ დაიპყრო საქართველო XIX საუკუნეში?

ა) ოსმალეთმა;

ბ) ჩინეთმა;

გ) ირანმა;

დ) რუსეთმა;

სწორი პასუხია: დ) რუსეთმა;

130. რომელ საუკუნეში დაიპყრო რუსეთმა საქართველო?

ა) XI საუკუნეში;

ბ) XIX საუკუნეში;

გ) XVII საუკუნეში;

დ) XIV საუკუნეში;

სწორი პასუხია: ბ) XIX საუკუნეში;

131. რომელი დინასტიის მმართველობა დაასრულა საქართველოში რუსეთის იმპერიამ?

ა) ბურბონების;

ბ) ფეჰლევების;

გ) ბაგრატიონების;

დ) ტიუდორების;

სწორი პასუხია: გ) ბაგრატიონების;

132. ვინ იყო იმერეთის უკანასკნელი მეფე?

ა) ბაგრატ მესამე;

ბ) სოლომონ მეორე;

გ) გუბაზ პირველი;

დ) თეოდოს მეორე;

სწორი პასუხია: ბ) სოლომონ მეორე;

133. XIX საუკუნეში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმეს:

ა) რუსებმა;

ბ) რომის პაპმა;

გ) მონღოლებმა;

დ) არაბებმა;

სწორი პასუხია: ა) რუსებმა;

134. XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიაში საქართველო იყო:

ა) ფედერალური შტატის სახით;

ბ) ავტონომიის სახით;

გ) გუბერნიებისა და ოლქების სახით;

დ) საქართველოს სამეფოს სახით;

სწორი პასუხია: გ) გუბერნიებისა და ოლქების სახით;

135. საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში ვის წინააღმდეგ მიმდინარეობდა აჯანყებები?

ა) ინგლისის;

ბ) თურქეთის;

გ) ირანის;

დ) რუსეთის;

სწორი პასუხია: დ) რუსეთის;

136. რომელ წელს გააუქმა და მიიერთა რუსეთის იმპერიამ იმერეთის სამეფო?

ა) 1810 წელს;

ბ) 1921 წელს;

გ) არ გაუუქმებია;

დ) 1710 წელს;

სწორი პასუხია: ა) 1810 წელს;

137. XIX საუკუნეში სამხრეთ კავკასიისთვის (მათ შორის, საქართველოსთვის) იბრძოდნენ:

ა) გერმანია, იტალია და ესპანეთი;

ბ) ავღანეთი, ჩინეთი და ავსტრია-უნგრეთი;

გ) რუსეთი, თურქეთი და სპარსეთი;

დ) ინგლისი, საფრანგეთი და პორტუგალია;

სწორი პასუხია: გ) რუსეთი, თურქეთი და სპარსეთი;

138. XIX საუკუნეში რუსეთის მიერ დანიშნულ კავკასიის პროვინციის მმართველს ერქვა:

ა) მეფისნაცვალი;

ბ) კაუდილიო;

გ) ბეგლარბეგი;

დ) ფაშა;

სწორი პასუხია: ა) მეფისნაცვალი;

139. რა იგეგმებოდა 1832 წელს საქართველოში?

ა) რუსეთის იმპერატორის ვიზიტი;

ბ) ანტირუსული აჯანყება;

გ) დიდი კონცერტი;

დ) ილია ჭავჭავაძის ქორწილი;

სწორი პასუხია: ბ) ანტირუსული აჯანყება;

140. ვინ იყო მიხეილ ვორონცოვი?

ა) ნაპოლეონ ბონაპარტეს მზარეული;

ბ) ინგლისელი მეკობრე და ზღვაოსანი;

გ) რუსეთის მეფისნაცვალი კავკასიაში;

დ) ცნობილი ესპანელი კონკისტადორი;

სწორი პასუხია: გ) რუსეთის მეფისნაცვალი კავკასიაში;

141. ვინ გადაასახლა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიიდან ოსმალეთში 1864-1878 წლებში?

ა) აფხაზები;

ბ) სომხები;

გ) ბერძნები;

დ) ოსები;

სწორი პასუხია: ა) აფხაზები;

142. ვისთან ბრძოლაში დაიკავა საქართველოს ისტორიული მხარეები რუსეთმა XIX საუკუნეში?

ა) ავღანეთთან;

ბ) ინგლისთან;

გ) ოსმალეთთან;

დ) ავსტრიასთან;

სწორი პასუხია: გ) ოსმალეთთან;

143. XIX საუკუნეში სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე რუსეთის ხელისუფლებამ ჩამოასახლა:

ა) ირლანდიელები;

ბ) სომხები;

გ) ბურები;

დ) ავღანელები;

სწორი პასუხია: ბ) სომხები;

144. რომელ პერიოდში გამოდიან ასპარეზზე „თერგდალეულები?

ა) XIX საუკუნეში;

ბ) XIV საუკუნეში;

გ) XVII საუკუნეში;

დ) XI საუკუნეში;

სწორი პასუხია: ა) XIX საუკუნეში;

145. ვინ იყო „მესამე დასის“ ლიდერი?

ა) მიხეილ ვორონცოვი;

ბ) იოსებ სტალინი;

გ) ედუარდ შევარდნაძე;

დ) ნოე ჟორდანია;

სწორი პასუხია: დ) ნოე ჟორდანია;

146. ვის ეკუთვნის სიტყვები: „მამული, ენა, სარწმუნოება“?

ა) ერეკლე მეორეს;

ბ) გიორგი სააკაძეს;

გ) ილია ჭავჭავაძეს;

დ) ზვიად გამსახურდიას;

სწორი პასუხია: გ) ილია ჭავჭავაძეს;

147. ვინ იყო ,,თერგდალეულთა,, ლიდერი?

ა) ილია ჭავჭავაძე;

ბ) ვასილ მჟავანაძე;

გ) სოლომონ დოდაშვილი;

დ) სოლომონ ლიონიძე;

სწორი პასუხია: ა) ილია ჭავჭავაძე;

148. რომელ საუკუნეში შეიქმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“?

ა) V საუკუნეში;

ბ) XIX საუკუნეში;

გ) XV საუკუნეში;

დ) X საუკუნეში;

სწორი პასუხია: ბ) XIX საუკუნეში;

149. ჩამოთვლილთაგან განათლების სფეროში მოღვაწეობდა:

ა) იოანე მარუშისძე;

ბ) ლავრენტი ბერია;

გ) იაკობ გოგებაშვილი;

დ) გიორგი სააკაძე;

სწორი პასუხია: გ) იაკობ გოგებაშვილი;

150. ჩამოთვლილთაგან რომელი იყო პოეტი?

ა) გიორგი ჭყონდიდელი;

ბ) აკაკი წერეთელი;

გ) ვახუშტი ბატონიშვილი;

დ) ზაქარია მხარგრძელი;

სწორი პასუხია: ბ) აკაკი წერეთელი;

151. ჩამოთვლილთაგან რომელი მოკლეს?

ა) ილია ჭავჭავაძე;

ბ) შოთა რუსთაველი;

გ) სულხან-საბა ორბელიანი;

დ) მეფე ბაგრატ III;

სწორი პასუხია: ა) ილია ჭავჭავაძე;

152. რომელ საუკუნეში მოკლეს ილია ჭავჭავაძე?

ა) XII საუკუნეში;

ბ) XV საუკუნეში;

გ) XX საუკუნეში;

დ) XVIII საუკუნეში;

სწორი პასუხია: გ) XX საუკუნეში;

153. რომელ გაზეთს გამოსცემდა ილია ჭავჭავაძე?

ა) „ივერიას“;

ბ) „კომუნისტს“;

გ) „ჯორჯიან ნიუსს“;

დ) „პრავდას“;

სწორი პასუხია: ა) „ივერიას“;

154. ჩამოთვლილთაგან რომელი არ ყოფილა „თერგდალეული“?

ა) ილია ჭავჭავაძე;

ბ) ნიკო ნიკოლაძე;

გ) აკაკი წერეთელი;

დ) გიორგი ჭყონდიდელი;

სწორი პასუხია: დ) გიორგი ჭყონდიდელი;

155. ჩამოთვლილთაგან რომელი შეეწირა რუსულ მმართველობას საქართველოში?

ა) დავით ულუ;

ბ) დიმიტრი ყიფიანი;

გ) მაია წყნეთელი;

დ) სიმონ I;

სწორი პასუხია: ბ) დიმიტრი ყიფიანი;

156. რომელი პოლიტიკური პარტიის ლიდერი იყო არჩილ ჯორჯაძე?

ა) მოქალაქეთა კავშირის;

ბ) აღორძინების;

გ) ნაციონალური მოძრაობის;

დ) სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის;

სწორი პასუხია: დ) სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის;

157. რა მოხდა ქართული ეკლესიის ისტორიაში 1917 წელს?

ა) არაფერი არ მომხდარა;

ბ) აღინიშნა პატრიარქის აღსაყდრების 40 წლისთავი;

გ) გაუქმდა ავტოკეფალია;

დ) აღდგა ავტოკეფალია;

სწორი პასუხია: დ) აღდგა ავტოკეფალია;

158. ვინ აირჩიეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად 1917 წელს??

ა) კირიონი;

ბ) დავით გარეჯელი;

გ) შალვა ახალციხელი;

დ) ლეონტი მროველი;

სწორი პასუხია: ა) კირიონი;

159. საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა:

ა) 1801 წელს;

ბ) 1918 წელს;

გ) 1863 წელს;

დ) 1953 წელს;

სწორი პასუხია: ბ) 1918 წელს;

160. 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა:

ა) იაპონიის დახმარებით;

ბ) ჩინეთის დახმარებით;

გ) რუსეთის დახმარებით;

დ) გერმანიის დამხარებით;

სწორი პასუხია: დ) გერმანიის დახმარებით;

161. ვინ იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე?

ა) ნოე რამიშვილი;

ბ) სოლომონ დოდაშვილი;

გ) არჩილ ჯორჯაძე;

დ) ლავრენტი ბერია;

სწორი პასუხია: ა) ნოე რამიშვილი;

162. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეორე თავმჯდომარე იყო:

ა) ივანე ჯავახიშვილი;

ბ) იოსებ სტალინი;

გ) ილია ჭავჭავაძე;

დ) ნოე ჟორდანია;

სწორი პასუხია: დ) ნოე ჟორდანია;

163. რა ერქვა 1918-1921 წლებში მთავრობის მიერ გამოშვებულ ფულად ნიშანს?

ა) დოლარი;

ბ) ფუნტი;

გ) ბონი;

დ) ფრანკი;

სწორი პასუხია: გ) ბონი;

164. 1919-1920 წელბში რომელი ქვეყნის წარმომადგენელი იყო ოლივერ უორდროპი სამხრეთ კავკასიაში?

ა) იაპონიის;

ბ) დიდი ბრიტანეთის;

გ) არგენტინის;

დ) რუსეთის;

სწორი პასუხია: ბ) დიდი ბრიტანეთის;

165. ჩამოთვლილთაგან რომელია თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი 1918 წელს?

ა) ივანე ჯავახიშვილი;

ბ) იაკობ გოგებაშვილი;

გ) ვახტანგ VI;

დ) გრიგოლ ორბელიანი;

სწორი პასუხია: ა) ივანე ჯავახიშვილი;

166. რომელი ქვეყნის ბატონობისგან გათავისუფლდა საქართველო 1918 წელს?

ა) აშშ-გან;

ბ) იაპონიისგან;

გ) გერმანიისგან;

დ) რუსეთისგან;

სწორი პასუხია: დ) რუსეთისგან;

167. რომელ წელს განხორციელდა საქართველოს ოკუპაცია?

ა) 1712 წელს;

ბ) 1783 წელს;

გ) 1921 წელს;

დ) 1878 წელს;

სწორი პასუხია: გ) 1921 წელს;

168. 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია განახორციელა:

ა) საბჭოთა რუსეთმა;

ბ) იაპონიამ;

გ) იტალიამ;

დ) გერმანიამ;

სწორი პასუხია: ა) საბჭოთა რუსეთმა;

169. რომელი ორგანიზაციის წევრი ვერ გახდა საქართველო 1920 წელს?

ა) გაეროს;

ბ) ერთა ლიგის;

გ) ნატოს;

დ) ეუთოს;

სწორი პასუხია: ბ) ერთა ლიგის;

170. 1919 წელს რომელმა ქვეყანამ აღიარა ოფიციალურად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა პირველმა?

ა) პაკისტანმა;

ბ) საბჭოთა რუსეთმა;

გ) ჩრდილოეთმა კორეამ;

დ) არგენტინამ;

სწორი პასუხია: დ) არგენტინამ;

171. 1921 წელს საქართველოს ოკუპაციას ხელმძღვანელობდა:

ა) იოსებ სტალინი

ბ) ვილჰემლ II;

გ) ვუდრო ვილსონი;

დ) მაო ძედუნი

სწორი პასუხია: ა) იოსებ სტალინი

172. 1921 წელს რუსეთის ჯარის გარდა კიდევ ვისთან უხდებოდა ბრძოლა საქართველოს?

ა) ინგლისელებთან;

ბ) ავღანელებთან;

გ) ინდოელებთან;

დ) თურქებთან;

სწორი პასუხია: დ) თურქებთან;

173. რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა საქართველო 1922 წელს?

ა) საბჭოთა კავშირის;

ბ) აშშ-ის;

გ) დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის;

დ) ესპანეთის;

სწორი პასუხია: ა) საბჭოთა კავშირის;

174. 1921 წელს რომელ ქვეყანაში წავიდა ემიგრაციაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა?

ა) მექსიკაში;

ბ) საფრანგეთში;

გ) არგენტინაში;

დ) სამხრეთ აფრიკაში;

სწორი პასუხია: ბ) საფრანგეთში;

175. XX საუკუნის 20-იან წლებში ანტისაბჭოთა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო:

ა) ქაქუცა ჩოლოყაშვილი;

ბ) გრიგოლ ორბელიანი;

გ) გიორგი სააკაძე;

დ) კონსტანტინე ლესელიძე;

სწორი პასუხია: ა) ქაქუცა ჩოლოყაშვილი;

176. რომელ წელს მოხდა საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყება?

ა) 1795 წელს;

ბ) 1856 წელს;

გ) 1989 წელს

დ) 1924 წელს;

სწორი პასუხია: დ) 1924 წელს;

177. რომელ წელს მიმდინარეობდა რეპრესიების მთავარი ტალღა საბჭოთა კავშირში (მათ შორის, საქართველოში)?

ა) 1795 წელს;

ბ) 1937 წელს;

გ) 877 წელს;

დ) 1980 წელს;

სწორი პასუხია: ბ) 1937 წელს;

178. 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ლიდერი იყო:

ა) ქაქუცა ჩოლოყაშვილი;

ბ) ნიკოლოზ ბარათაშვილი;

გ) სერგო ორჯონიკიძე;

დ) ილია ჭავჭავაძე;

სწორი პასუხია: ა) ქაქუცა ჩოლოყაშვილი;

179. რომელი ქვეყნის წინააღმდეგ იყო მიმართული 1924 წლის აჯანყება?

ა) ინგლისის;

ბ) იაპონიის;

გ) საბჭოთა კავშირის;

დ) იტალიის;

სწორი პასუხია: გ) საბჭოთა კავშირის;

180. მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველების უმრავლესობა იბრძოდა:

ა) იაპონიის მხარეს;

ბ) საბჭოთა კავშირის მხარეს;

გ) გერმანიის მხარეს;

დ) პოლონეთის მხარეს;

სწორი პასუხია: ბ) საბჭოთა კავშირის მხარეს;

181. XX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში მიმდინარე საბჭოთა რეპრესიებს სათავეში ედგა:

ა) ლავრენტი ბერია;

ბ) ლევ ტროცკი;

გ) ბუდუ მდივანი;

დ) ედუარდ შევარდნაძე;

სწორი პასუხია: ა) ლავრენტი ბერია;

182. 1956 წელს ვისი კულტის დასაცავად მიმდინარეობდა გამოსვლები თბილისში?

ა) ვლადიმერ ლენინის;

ბ) მაო ძედუნის;

გ) მაჰათმა განდის;

დ) იოსებ სტალინის;

სწორი პასუხია: დ) იოსებ სტალინის;

183. როდის მოხდა საქართველოში მშვიდობიანი მიტინგის დარბევა, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა?

ა) 1801 წლის 12 სექტემბერს;

ბ) 1905 წლის 5 იანვარს;

გ) 1989 წლის 9 აპრილს;

დ) 1944 წლის 27 იანვარს;

სწორი პასუხია: გ) 1989 წლის 9 აპრილს;

184. 1989 წლის 9 აპრილს რომელი ქვეყნის სამხედრო ნაწილებმა დაარბიეს მშვიდობიანი მიტინგი თბილისში?

ა) ჩინეთის;

ბ) საბჭოთა კავშირის;

გ) აშშ-ის;

დ) ირანის;

სწორი პასუხია: ბ) საბჭოთა კავშირის;

185. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ:

ა) მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას;

ბ) მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირში საქართველოს დარჩენას;

გ) მხარი დაუჭირა სამხრეთ კავკასიის ფედერაციის შექმნას;

დ) მხარი დაუჭირა საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას;

სწორი პასუხია: ა) მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას;

186. საქართველოს პირველი პრეზიდენტი იყო:

ა) ილია ჭავჭავაძე;

ბ) ზვიად გამსახურდია;

გ) დიმიტრი ყიფიანი;

დ) მიხეილ სააკაშვილი;

სწორი პასუხია: ბ) ზვიად გამსახურდია;

187. რომელ წელს აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა?

ა) 1863 წელს;

ბ) 1909 წელს;

გ) 1991 წელს;

დ) 1950 წელს;

სწორი პასუხია: გ) 1991 წელს;

188. ჩამოთვლილთაგან რომელი მათგანის ხელისუფლება დაამხეს ძალის გამოყენებით?

ა) ზვიად გამსახურდიას;

ბ) გიორგი მაზნიაშვილის;

გ) ვასილ მჟავანაძის;

დ) ალექსანდრე ორბელიანის;

სწორი პასუხია: ა) ზვიად გამსახურდიას;

189. ჩამოთვლილთაგან რომელი მათგანი იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის?

ა) სერგო ორჯონიკიძე;

ბ) მერაბ კოსტავა;

გ) ფილიპე მახარაძე;

დ) შადიმან ბარათაშვილი;

სწორი პასუხია: ბ) მერაბ კოსტავა;

190. რომელი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მოიპოვა საქართველომ დამოუკიდებლობა 1991 წელს?

ა) ბრიტანეთის იმპერიის;

ბ) ჩეხოსლოვაკიის;

გ) იუგოსლავიის;

დ) საბჭოთა კავშირის;

სწორი პასუხია: დ) საბჭოთა კავშირის;

191. რომელი ქვეყანა ეხმარებოდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს საქართველოს წინააღმდეგ ომში?

ა) რუსეთი;

ბ) ვენესუელა;

გ) ჩინეთი;

დ) პაკისტანი;

სწორი პასუხია: ა) რუსეთი;

192. საქართველოს მეორე პრეზიდენტი იყო:

ა) აკაკი წერეთელი;

ბ) ნიკო ნიკოლაძე;

გ) ედუარდ შევარდნაძე;

დ) ლავრენტი ბერია;

სწორი პასუხია: გ) ედუარდ შევარდნაძე;

193. რომელი ორგანიზაციის წევრი გახდა საქართველო 1999 წელს?

ა) ევრაზიული კავშირის;

ბ) ევროსაბჭოს;

გ) არაბული ლიგის;

დ) დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის;

სწორი პასუხია: ბ) ევროსაბჭოს;

194. 1992 წელს საქართველო გახდა:

ა) ევროკავშირის წევრი;

ბ) არაბული ლიგის წევრი;

გ) მერკოსურის წევრი;

დ) გაეროს წევრი;

სწორი პასუხია: დ) გაეროს წევრი;

195. რომელ წელს მოხდა „ვარდების რევოლუცია“ საქართველოში?

ა) 2003 წელს;

ბ) 1960 წელს;

გ) 1987 წელს;

დ) 1925 წელს;

სწორი პასუხია: ა) 2003 წელს;

196. ვინ იყო საქართველოს მესამე პრეზიდენტი?

ა) მემედ აბაშიძე;

ბ) ავლიპ ზურაბაშვილი;

გ) ტიციან ტაბიძე;

დ) მიხეილ სააკაშვილი;

სწორი პასუხია: დ) მიხეილ სააკაშვილი;

197. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვიდა:

ა) რეზო ამაშუკელი;

ბ) ასლან აბაშიძე;

გ) მიხეილ სააკაშვილი;

დ) ჯაბა იოსელიანი;

სწორი პასუხია: გ) მიხეილ სააკაშვილი;

198. რომელ წელს მოხდა საქართველო-რუსეთის ომი?

ა) 1913 წელს;

ბ) 2008 წელს;

გ) 1984 წელს;

დ) 1939 წელს;

სწორი პასუხია: ბ) 2008 წელს;

199. დღეს რომელი სახელმწიფოს მიერაა საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებული?

ა) ისრაელის;

ბ) ჩინეთის;

გ) იაპონიის;

დ) რუსეთის;

სწორი პასუხია: დ) რუსეთის;

200. ჩამოთვლილთაგან რომელი სახელმწიფოა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი?

ა) აშშ;

ბ) სამხრეთი კორეა;

გ) სამხრეთი აფრიკა;

დ) ბრაზილია;

სწორი პასუხია: ა) აშშ;

201. ჩამოთვლილთაგან რომელი სახელმწიფო არ აღიარებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, დამოუკიდებლობას?

ა) ნიკარაგუა;

ბ) ნაურუ;

გ) ლიეტუვა;

დ) ვენესუელა;

სწორი პასუხია: გ) ლიეტუვა;

202. ჩამოთვლილ სახელმწიფო მეთაურთაგან რომელს მიენიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება?

ა) იოსებ სტალინს;

ბ) ლეხ კაჩინსკის;

გ) ვლადიმერ პუტინს;

დ) უგო ჩავესს

სწორი პასუხია: ბ) ლეხ კაჩინსკის